EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ივლისი 2010 №7 (19)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები ოფიციალურად გაიხსნა

15 ივლისს ბათუმში საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ბარონესა **ქეთრინ ეშტონმა** საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე** მოლაპარაკებები ფორმალურად გახსნეს.

ამავე დღეს ბათუმში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების პირველი პლენარული სესია. ქართული მხრიდან მოლაპარაკებებს უძღვებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **თორნიკე გორდაძე**, ხოლო ევროპული მხრიდან - ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორის მოადგილე **იუგ მინგარელი**. აღნიშნულ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მხარეების მიერ დაიგეგმა და შეთანხმდა მოლაპარაკებების პროცესში მუშაობის შემდგომი მიმართულებები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ მომავალი შეთანხმება ჩაანაცვლებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ **შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ** და ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე თანამშრომლობასა და ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს.

გამოყენებული წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12353

ევროკავშირის საგამაკვირვებლო მისიას საქართველოში ყოფნის მანდატი ერთი წლით გაუხანგრძლივდა

26 ივლისს ევროკავშირის ქვეყნების **საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო** შეიკრიბა. შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში არსებული ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებაზეც იმსჯელეს.

სხდომის შემდეგ გამოაქვეყნდა პრესრელიზი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭო მხარს უჭერს საქართველოში ევროკავშირის დამკვირებლებისთვის მანდატის კიდევ ერთი წლით - 2011 წლის 14 სექტემბრამდე გაგრძელების საკითხს.

დოკუმენტში განმარტებულია, რომ დამკვირებელთა მისიამ უნდა უზრუნველყოს „ექვსპუნქტიანი შეთანხმების" სრული შესრულება, მისი მანდატის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეტაპობრივი გავრცელებით.

ცნობისათვის, ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში მუშაობას ოფიციალურად 2008 წლის პირველი ოქტომბრიდან შეუდგა. მისიის შემადგენლობაში ევროგაერთიანების 26 წევრი ქვეყნიდან 300-ზე მეტი შეუიარაღებელი დამკვირვებელი შედის. ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის მოქმედების არეალი დღესდღეობით ფაქტიურად მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ვრცელდება. რუსეთი, სეპარატისტული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამკვირვებელთა მისიის მოქმედებას.

საერთაშორისო კონფერენცია "საქართველოს ევროპული გზა"

15-17 ივლისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ევროკავშირის მხარდაჭერით ბათუმში გაიმართა მე-7 საერთაშორისო კონფერენცია **„საქართველოს ევროპული გზა"**.

კონფერენციაზე იმსჯელეს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის საკითხებსა და რეგიონში უსაფრთხოების გამოწვევებზე. კონფერენციაზე ასევე განიხილეს საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის, ხალხთა შორის კონტაქტების განვითარების საკითხები და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები.

საქართველოს მთავრობამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებისა და საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ ანგარიში წარმოადგინა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის, ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტების წარმომადგენლებმა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

კონფერენციის ფარგლებში ოთხი თემატური სესია გაიმართა:

1. **უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სესია** დაეთმო „აღმოსავლეთის პარტნიორობის" რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევებს; ევროკავშირის როლს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებაში; ევროკავშირის მხარდაჭერას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგიის - **„ჩართულობა თანამშრომლობის გზით"** განხორციელებაში.
2. **დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის საკითხთა სესიაზე** განიხილეს საქართველოს დემოკრატიული რეფორმების „მეორე ტალღა"; მედია პლურალიზმის, პარლამენტის როლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის საკითხები; ასევე, ადგილობრივი არჩევნების შედეგები და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის საჭირო შემდგომი ნაბიჯები.
3. **ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაახლოების სესიაზე** იმსჯელეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პერსპექტივებზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, ენერგოუსაფრთხოების, ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერგიის საკითხებზე;
4. **ხალხთა შორის კონტაქტებისა და ევროკავშირის პროექტების თემატურ სესიაზე** განიხილეს ხალხთა შორის კონტაქტების ისეთი მიმართულებები, როგორიცაა განათლება, კულტურა, ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამები; ასევე, ევროკავშირის პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის მიღების ახალი შესაძლებლობები.

გამოყენებული წყარო: http://www.eu-integration.gov.ge

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

ივლისის დაიჯესტი

კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული პროდუქტების იმპორტს ევროპარლამენტი ქვრავ ეწინააღმდეგება

7 ივლისს **ევროპარლამენტმა** კიდევ ერთხელ უარი განაცხადა ევროპის ბაზარზე კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული საკვების შემოტანაზე. ეს ნაბიჯი ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით არჩეულ კურსს.

ახალი საკვები პროდუქტების შესახებ ევროკავშირის მოქმედი რეგულაცია, რომელიც 1997 წელს არის მიღებული, არ ითვალისწინებს ნანოტექნოლოგიებით დამზადებული და ევროპის ფარგლებს გარეთ წარმოებული საკვების რეგულირებას.

2008 წლის იანვარში, ევროკომისიამ შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა აღნიშნულ რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებები ითვალისწინებს ევროპის ბაზარზე ახალი და უვნებელი საკვების უმოკლეს ვადებში შემოტანასა და ახალი ტიპის საკვებისა და კვების ტექნოლოგიების განვითარებას, მათ შორის, კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე დაშვებას.

4 მაისს ევროპარლამენტის გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათის უვნებლობის კომიტეტმა პირველი მოსმენით სწორედ აღნიშნული ინიციატივის დამტკიცებაზე თქვა უარი. ამ საკითხზე მეორე მოსმენამაც მსგავსი შედეგი გამოიღო, რაც საკმაოდ გაართულებს ამ სფეროში ახალი რეგულაციების დანერგვას.

მესიმეური ჩადრის ტარება საფრანგეთის პარლამენტმაც აკრძალა

საფრანგეთის **ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატამ** მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას ქალის მუსლიმური ჩადრის საჯარო ადგილებში ტარების აკრძალვის შესახებ. ახალი კანონის ძალაში შესვლაზე 557 დეპუტატიდან 335—მა განაცხადა თანხმობა. თუკი სექტემბერში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატაც დაამტკიცებს აღნიშნულ კანონს, საფრანგეთი, ბელგიის შემდეგ, ევროკავშირის მეორე ქვეყანა იქნება, რომელმაც ასეთი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა.

კანონის პირველად დარღვევის შემთხვევაში 150 ევროს ჯარიმაა გათვალისწინებული, ხოლო ის მამაკაცები, რომლებიც თავიანთ მეუღლეებს მუსლიმური ჩადრით სახის დაფარვას აიძულებენ, ერთ წლიან პატიმრობასთან ერთად ვალდებულნი იქნებიან გადაიხადონ 30 000 ევროს კომპენსაცია მორალური ზიანისთვის.

ბოლო გამოკითხვების მიხედვით, აღნიშნული კანონის მიღებას საფრანგეთის მოსახლეობის 82% უჭერს მხარს. თუმცა ქვეყნის მთავრობის უმაღლესმა საკონსულტაციო ორგანომ — სახელმწიფო საბჭომ მარტში საფრანგეთის ხელისუფლება გააფრთხილა, რომ ეს გადაწყვეტილება შესაძლოა ანტიკონსტიტუციური იყოს და მისი მიღების შემთხვევაში, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდება.

ცნობისათვის, ივნისში ესპანეთის ხელისუფლებამაც განაცხადა, რომ ბელგიისა და საფრანგეთის მსგავსი ნაბიჯის გადადგმას აპირებს.

ესტონეთი ევროზონას მომავალი წლიდან მეერთდება

13 ივლისს ევროკავშირის **ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა მინისტრთა საბჭოს** მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც ევროპელმა მინისტრებმა 2011 წლის 1 იანვრიდან **ესტონეთის** ევროზონაში მიღებას მხარი დაუჭირეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მაისში ევროკომისიის მიერ ამ საკითხზე პოზიტიური პოზიციის დაფიქსირება. ესტონეთი, რომლის მოსახლეობა 1.5 მილიონ ადამიანის არ აღემატება, ევროზონის რიგით მე—17 წევრი გახდება.

ევროკავშირის ბოლო - 2004 წლის გაფართოების დროს გაერთიანებაში გაწევრიანებული 10 ქვეყნიდან დღესდღეობით მხოლოდ სლოვენია, კვიპროსი, მალტა და სლოვაკეთია ევროპის ერთიანი სავალუტო სივრცის წევრი. ამ ქვეყნებმა შეძლეს ე.წ. „კონვერგენციის კრიტერიუმების“ დაკმაყოფილება, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფასების სტაბილურობა, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, სავალუტო გაცვლითი კურსის სტაბილურობა და გრძელვადიანი საბანკო საპროცენტო განაკვეთები.

ევროკომისია ბულგარეთსა და რუმინეთს ქვრავ აკრიტიკებს

20 ივლისს **ევროკომისიამ** ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მან კიდევ ერთხელ მკაცრად გააკრიტიკა **ბულგარეთი და რუმინეთი** ამ ქვეყნებში კორუფციისა და თაღლითობის მაღალი დონის, არასრულყოფილი სასამართლო სისტემისა და სუსტი სამართალდამცავი სტრუქტურების არსებობის გამო.

ევროკომისიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბულგარეთსა და რუმინეთს არ გააჩნია საჯარო ფონდების დაცვის, თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი მეთოდები.

ევროკომისიის პრეს-სპიკერი ადასტურებს, რომ აღნიშნული პრობლემები ამ ქვეყნებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილ ფონდებზეც აისახება, თუმცა ამჯერად არ გამოიწვევს მათ გაყინვას, როგორც ეს 2008 წელს მოხდა, როცა ბულგარეთს ფერმერების ხელშეწყობისთვის განკუთვნილი 500 მილიონი ევროს დაფინანსება შეუჩერდა.

მოხსენების მიხედვით, ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების დღიდან გარკვეული პროგრესი აღინიშნება საკანონმდებლო სფეროში, თუმცა კვლავ დიდი პრობლემებია ძალოვან სტრუქტურებში. ეს ქვეყნები შიშობენ, რომ არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გადაიდება მათი შენგენის ზონაში გაწევრიანების საკითხი, რომელიც დღესდღეობით მომავალი წლის გაზაფხულისთვის არის დაგეგმილი.

ევროკავშირი ქვრევით ღარგებში 6.4 მილიარდი ევროს ინვესტირებას აპირებს

19 ივლისს ევროკომისარმა კვლევისა და ინოვაციების საკითხებში - **მაირ ჯეოგეგან-ქვინმა** განაცხადა, რომ მომავალ წელს ევროკავშირი კვლევით ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებსა და წარმოებებს 6.4 მილიარდი ევროთი დააფინანსებს. ეს ინვესტიციები, რომლებიც შარშანდელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა, კვლევითი სამუშაოებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობას მოხმარდება.

ჯეოგეგან-ქვინმა გეგმა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, დაფინანსებას 16 000 სუბიექტი, მათ შორის 3 000 მცირე და საშუალო ბიზნეს-საწარმო მიიღებს. ევროკომისარის თქმით, ეს ინვესტიციები მოკლევადიან პერსპექტივაში 165 000 სამუშაო ადგილს შექმნის.

საერთო თანხის 15% ბიზნესის დაფინანსებაზეა გათვლილი, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოები მომავალ წელს 800 მილიონი ევროს ოდენობის სუბსი-

დიას მიიღებენ. თანხის 35% სპეციფიურ სფეროებს მოხმარდება, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვას, ბიოტექნოლოგიებს, ნანოტექნოლოგიებსა და გარემოს დაცვას.

ევროკომისიას სურს, რომ მკვლევარებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთონ კლიმატის ცვლილების, ენერგიისა და საკვების უსაფრთხოების საკითხებზე, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და ხანდაზმული მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე.

შრი-ლანკა GSP პლუსით ვეღარ ისარგებლებს

5 ივლისს ევროკომისიამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროკავშირი **შრი-ლანკას** სავაჭრო შეღავათებს უუქმებს, რის მიზეზადაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არასახარბიელო მდგომარეობა სახელდება.

შრი-ლანკა ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების სისტემით — **ე.წ. GSP პლუსით** სარგებლობდა. GSP პლუსი მსოფლიოს მასშტაბით 16 განვითარებად სახელმწიფოს 6400 დასახელების საქონლის ევროკავშირში დაბეგვრის გარეშე ექსპორტირების საშუალებას აძლევს. ამისთვის ბენეფიციარ ქვეყნებს ადამიანისა და შრომის უფლებების კუთხით 27 საერთაშორისო კონვენციის შესრულება ევალებათ. აღნიშნული სისტემით საქართველოც სარგებლობს.

შრი-ლანკას ხელისუფლება მრავალჯერ იქნა დადანაშაულებული სამოქალაქო ომის დროს ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებში.

2009 წლის ოქტომბერში ევროკავშირის მიერ ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, რომ შრი-ლანკამ გაეროს 3 კონვენცია დაარღვია, რის გამოც, 2010 წლის თებერვალში **ევროკავშირის საბჭომ** მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ქვეყნისთვის სავაჭრო შეღავათების გაუქმების შესახებ.

შრი-ლანკას ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შედეგად, 6 თვით გადაიდო საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულება, რის სანაცვლოდაც ოფიციალურმა კოლომბომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესის პირობა დადო.

თუმცა შრი-ლანკას ხელისუფლების წარმომადგენლების უმოქმედობამ ევროკავშირს საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულება აიძულა.

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com;
www.euractiv.com.

ევროსტატისტიკა

2008 წელს ევროკავშირის მოქალაქეობა 696 000-მა აღამიანმა მიიღო

2010 წლის ივლისში ევროკავშირის სტატისტიკურმა სამსახურმა - ევროსტატმა 2008 წელს ევროკავშირის მოქალაქეობის მიღების შესახებ სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. 2008 წელს ევროგაერთიანების წევრი ქვეყნის მოქალაქეობა, 2007 წელთან შედარებით, უფრო ნაკლებმა აპლიკანტმა მიიღო. კერძოდ, ევროკავშირის 27 ქვეყანაში მოქალაქეობა სულ 696 000 ადამიანმა მიიღო, წინა წელს კი ეს რიცხვი 707 000-ს შეადგენდა.

ახალი მოქალაქეების უდიდეს ნაწილს აფრიკის კონტინენტის (29%), ევროპის სხვა ქვეყნების (22%), აზიის (19%) და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის (17%) მოსახლეობა შეადგენს.

2008 წელს მოქალაქეობის მიღებაზე ყველაზე მეტი განაცხადი დააკმაყოფილა საფრანგეთმა (დაახლოებით 137 000 ადამიანი), გაერთიანებულმა სამეფომ (129 000) და გერმანიამ (94 000), რაც საერთო რიცხვის 50%-ს აღემატება. ქვეყნის მოქალაქეობა ყველაზე ნაკლებ მსურველს კი ლიტვამ (310), სლოვაკეთმა (480) და მალტამ (640) მიანიჭა.

სტატისტიკური შეფასების თვალსაზრისით, გაცემული მოქალაქეობის რიცხვი შედარებულ იქნა ქვეყანაში მცხოვრები უცხოელების საერთო რაოდენობასთან. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შვედეთში (54 მინიჭებული მოქალაქეობა 1000 მაცხოვრებელ უცხოელზე), პორტუგალიაში (51), პოლონეთში (48), ფინეთსა (47) და უნგრეთში (43), ყველაზე მცირე კი — ჩეხეთში (3), ირლანდიასა და ლუქსემბურგში (6). რაც შეეხება ევროკავშირის ოცდაშვიდივე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, ყოველ 1000 მცხოვრებ უცხოელზე 23 მოქალაქეობა გაიცა.

მინიჭებული მოქალაქეობის რაოდენობას თუ შევადარებთ ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მოსახლეობის საერთო რიცხვს, მაშინ სტატისტიკური მონაცემი ასეთი იქნება: გაცემული მოქალაქეობის ყველაზე დიდი მაჩვენებლი დაფიქსირდა შვედეთში (3.3 გაცემული მოქალაქეობა ქვეყნის ყოველ 1000 მოსახლეზე), ლუქსემბურგში (2.5) საფრანგეთში (2.1), პორტუგალიასა (2.1) და გაერთიანებულ სამეფოში (2.1). ევროკავშირის ათმა სახელმწიფომ (ჩეხეთი, ბულგარეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი) ყოველ 1000 მოსახლეზე 1-ზე ნაკლები მოქალაქეობა გასცა. საშუალოდ, ევროკავშირში ყოველ 1000 მოსახლეზე გაიცა 1.4 მოქალაქეობა.

2008 წელს ევროკავშირის მოქალაქეობა მაროკოს 64 000-მა, თურქეთის 50 000-მა, ეკვადორის 27 000-მა, ალჟირის 23 000-მა და ერაყის 20 000-მა მოქალაქემ მიიღო. საფრანგეთმა მიიღო მაროკოელთა 45% და ალჟირელთა 88%, გერმანიამ - თურქთა 49%, ესპანეთმა - ეკვადორელთა 93%, გაერთიანებულმა სამეფომ - ერაყელთა 44%, რუმინეთმა - მოლდოველთა 89%, საბერძნეთმა - ალბანელთა 59% და ბულგარეთმა - ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა 51%.

eurostat

ევრო პალიტრა

ევროკავშირი – თვითმფრინავის მგზავრების უფლებები

2005 წლის 17 თებერვალს ძალაში შევიდა ევროკავშირის **განკარგულება 261/2004**, რომელიც ავიაკომპანიებს მგზავრების სასარგებლოდ რიგ ვალდებულებებს უწესებს.

რა შემთხვევებზე ვრცელდება განკარგულება?

განკარგულება სამ შემთხვევას აწესრიგებს. თითოეული მათგანის დადგომა ავიაკომპანიისთვის მგზავრთა მიმართ დამატებით ვალდებულებებს წარმოშობს. კერძოდ, განკარგულება ეხება შემდეგ შემთხვევებს:

- ა. მგზავრს მისი ნების საწინააღმდეგოდ და უსაფუძვლოდ უარი ეთქვა თვითმფრინავში ჩასმაზე;
- ბ. ფრენა გაუქმდა;
- გ. ფრენა გადაიდო.

რა უფლება აქვს მგზავრს, თუ ავიაკომპანიამ მას უსაფუძვლოდ უთხრა უარი თვითმფრინავში ჩასმაზე?

როგორც წესი, ამგვარი შემთხვევა ხშირია, როცა გაყიდული ბილეთების რაოდენობა საჰაერო რეისზე აღემატება თვითმფრინავის ტევადობას. ამგვარი პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, განკარგულება ავიაკომპანიას ორი სახის ღონისძიების განხორციელებას ავალდებულებს:

1. ავიაკომპანია ვალდებულია, შეეცადოს წინასწარ დაუკავშირდეს მგზავრებს და გამოარკვიოს, თუ რომელიმე მათგანი ნებაყოფლობით განაცხადებს უარს ბილეთზე გარკვეული უპირატესობების, ან შეღავათების სანაცვლოდ;
2. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მგზავრი ვერ მოიძებნა, ავიაკომპანია ვალდებულია მგზავრს, რომელსაც უარი ეთქვა თვითმფრინავში ჩასმაზე, გადაუხადოს კომპენსაცია, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:
   - 250 ევრო - 1500 კმ-მდე მანძილის ფრენაზე;
   - 400ევრო-ევროკავშირისფარგლებშიგანხორციელებულ შიდა ფრენებზე, რომელიც აღემატება 1500 კმ-ს, ასევე სხვა ფრენებზე 1500-3000კმ-მდე მანძილით;
   - 600 ევრო - სხვა დანარჩენ ფრენებზე.

ფინანსურ კომპენსაციასთან ერთად, მგზავრი უფლებამოსილია მოითხოვოს:

- ბილეთის საფასურის სრული ანაზღაურება, ან ალტერნატიული მარშრუტით ფრენა;
- საკვები, სასმელი, საჭიროების შემთხვევაში სასტუმროში დაბინავება.

რა უფლება აქვს მგზავრს, თუ ფრენა გაუქმდა?

იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანია ან ტურისტული სააგენტო საკუთარი მიზეზით აუქმებს ფრენას, მგზავრს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

1. გაუქმების შესახებ მგზავრი ინფორმირებულია დაგეგმილ ფრენაზე ორი კვირით ადრე, ან;
2. გაუქმების შესახებ მგზავრი ინფორმირებულია დროულად და გადამისამართებულია სხვა რეისზე იმ დროით, რომელიც ძალიან ახლოსაა გაუქმებული ფრენის დროსთან.

ამასთან ერთად, ავიაკომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მგზავრი:

1. საკვებითა და სასმელით;
2. სასტუმროში დაბინავებით, იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს ფრენის გაუქმების გამო უწევს ღამე დარჩენა;
3. შესაბამისი ფინანსური კომპენსაციით, თუ ფრენის გაუქმება მგზავრს სულ მცირე ხუთი საათით აყოვნებს.

რა უფლება აქვს მგზავრს, თუ ფრენა გადაიდო?

იმ შემთხვევაში, თუ ფრენა გადაიდო, მგზავრი უფლებამოსილია მიიღოს ავიაკომპანიისაგან ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ, ასევე შესაბამისი დახმარება (საკვები, სასმელი, კომუნიკაციების საშუალებები და საჭიროების შემთხვევაში სასტუმროში დაბინავება).

იმ შემთხვევაში, თუ ფრენის გადადების ვადა სცილდება ხუთ საათს, მგზავრი უფლებამოსილია დააბრუნოს ბილეთი და მოითხოვოს ბილეთის ფასის ანაზღაურება. ავიაკომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ამგვარი ანაზღაურება 7 დღის განმავლობაში. ამასთანავე, თუ მგზავრი სატრანზიტო აეროპორტში იმყოფება, ბილეთის დაბრუნებასთან ერთად, მას უფლება აქვს მოითხოვოს ავიაკომპანიის ხარჯზე მგზავრობის საწყის ადგილზე დაბრუნება.

რომელ ავიაკომპანიებზე ვრცელდება მოცემული ვალდებულებები?

განკარგულება ეხება ე.წ. „ევროგაერთიანების გადამყვანს", რომელსაც გააჩნია შესაბამისი ლიცენზია გაცემული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, განკარგულება არ ვრცელდება იმ ფრენებზე, რომელსაც ახორციელებს გადამყვანი, რომელიც არ მიეკუთვნება ე.წ. „ევროგაერთიანების გადამყვანს".

რომელ ფრენებზე ვრცელდება მოცემული ვალდებულებები?

განკარგულება ვრცელდება მხოლოდ შემდეგ ფრენებზე:

ა) რომელიც იწყება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს აეროპორტებიდან და;

ბ) რომელიც იწყება ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოში, მაგრამ დანიშნულების პუნქტი ევროკავშირის ტერიტორიაზე განლაგებულ აეროპორტში მდებარეობს.

ვისზე ვრცელდება განკარგულება?

განკარგულების მოქმედების სფერო ფართოა. ის თანაბრად ვრცელდება, როგორც ევროკავშირის წევრი, ასევე არაწევრი სახელმწიფოების მოქალაქეებზე. შესაბამისად, განკარგულებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეს ზემოთ აღწერილი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, შეუძლია ამ უფლებებით სარგებლობა. ამასთანავე, აღნიშნული უფლებებით სარგებლობის აუცილებელი პირობაა, რომ მგზავრმა დაადასტუროს ჯავშანი ფრენაზე და დროულად გამოცხადდეს თვითმფრინავში ჩაჯდომის ადგილზე.

არის თუ არა ავიაკომპანია ვალდებული დახმარება აღმოუჩინოს მგზავრს ყველა შემთხვევაში?

არა, აღნიშნული წესები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეისის გადადება ან მისი გაუქმება იმ მოვლენის ან ფაქტის შედეგია, რომელიც ექვემდებარება ავიაკომპანიის კონტროლს. შესაბამისად, რეისის გადადება უამინდობის გამო ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებს ავიაკომპანიის მიმართ არ წარმოშობს.

აქვს თუ არა ავიაკომპანიას უფლება ცალმხრივად შეზღუდოს ან უარი თქვას გადაყვანის ხელშეკრულებაში ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებებზე?

არა, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებია მოცემული გადაყვანის ხელშეკრულებაში, განკარგულება კრძალავს ისეთ სახელშეკრულებო დათქმას, რომელიც ზღუდავს ან აუქმებს ამ განკარგულების მიხედვით ავიაკომპანიის მიმართ დადგენილ ვალდებულებებს.

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ ☎ 28 13 29

euinfocentre@parliament.ge

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
„ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნატროშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი, ირაკლი სოკოლოვსკი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა, სალომე სვანაძე

„ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge